3–9 თებერვალი, 1995 წ. ● №4 (10915)
ფასი 600 რუბლი, ან 250 000 კუპონი.

## საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება №17

## საქართველოში ჭადრაკის განვითარებისათვის სახელმწიფოებრივი ზრუნვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

ქართულ საჭადრაკო სკოლას სერიოზული მიღწევები აქვს მოპოვებული ევროპისა და მსოფლიო შეჯიბრებებში, რაზეც მეტყველებს ქართველ მოჭადრაკე ქალთა გამარჯვება მსოფლიოს 31-ე საჭადრაკო ოლიმპიადაზე, სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადაზე, ევროპისა და მსოფლიოს ასაკობრივ ჩემპიონატებზე.

მიღწეული წარმატებების შენარჩუნების, ჭადრაკის შემდგომი განვითარების, ამ სფეროში არსებული ტრადიციების ყოველმხრივი მხარდაჭერის მიზნით:

1. მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა, ქალაქების მერებმა და რაიონების გამგეობების თავმჯდომარეებმა ყველა ღონე იხმარონ, რათა აღადგინონ რაიონებსა და ქალაქებში საჭადრაკო კლუბები, არ დაუშვან მათი პროფილის შეცვლა და პრივატიზება სხვა კომერციული მიზნებით გამოყენებისათვის; საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან ერთად ხელი შეუწყონ ადგილობრივი საჭადრაკო ფედერაციების შექმნას და მათ მუშაობას.

2. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ სპორტის დეპარტამენტთან და საქართველოს ჭადრაკის ფედერციასთან ერთად 3 თვის ვადაში განიხილოს სკოლამდელ დაწესებულებებსა და დაწყებით კლასებში ექსპერიმენტის სახით ჭადრაკის სწავლების შემოღების მიზანშეწონილობის საკითხი. საჭიროების შემთხვევაში სათანადო წინადადებები წარადგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა თბილისის მერიასთან ერთად 1995 წელს უზრუნველყოს ჭადრაკის სასახლის კაპიტალური შეკეთების სამუშაოთა დასაფინანსებლად საჭირო ასიგნებათა გამოყოფა.

4. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ სპორტის დეპარტამენტთან ერთად ყოველწლიურად გაითვალისწინოს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საერთაშორისო კალენდრით გათვალისწინებული ოფიციალური შეჯიბრებების პრიორიტეტული დაფინანსება, რისთვისაც 1995 წელს ფედერაციას გამოუყოს 76 200 აშშ დოლარი.

მაია ჩიბურდანიძის პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში გამარჯვების შემთხვევაში, მისი მსოფლიოს ჩემპიონთან მატჩისთვის მზადებისა და მასში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულ იქნეს დამატებითი სავალუტო სახსრები საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის განცხადების საფუძველზე.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ თბილისის მერია იღებს სათანადო ზომებს ჭადრაკის რესპუბლიკური სასახლის კომუნალური ხარჯებისაგან გასათავისუფლებლად.

6. საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

მაქსიმალურად უზრუნველყოს საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდები სამედიცინო მომსახურებით, სამედიცინო-ბიოლოგიური საშუალებებითა და მედიკამენტებით;

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის განაცხადების საფუძველზე შეუფერხებლად გამოყოს ადგილები ბორჯომის სანატორიუმ „ლიკანში“ და შექმნას დიდოსტატთა ვარჯიშისა და წვრთნისათვის სათანადო პირობები.

7. საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტმა უზრუნველყოს ავიარეისებზე (მათ შორის საერთაშორისო) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის განაცხადების პრიორიტეტული დაკმაყოფილება.

მოწონებულ იქნეს საქართველოში მოქმედი კომერციული ავიაკომპანიების („ორბი“, „ეარ ჯორჯია“, „ლიდია“ და სხვ.) კერძო ინიციატივა საქართველოს მოჭადრაკეთათვის უფასო და შეღავათიანი ავიაბილეთების გამოყოფის თაობაზე და მომავალში ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ასეთ ინიციატივებს.

8. მხარი დაეჭიროს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საქმიანობას დამატებითი სავალუტო შემოსავლების გაზრდის მიზნით და მიეცეს მას საკუთარი სავალუტო შემოსავლების შეუზღუდავი ხარჯვის უფლება საწესდებო მიზნების შესაბამისად (მათ შორის სპორტსმენების, მწვრთნელებისა და სპორტის მუშაკების სავალუტო პრემირების მიზნით).

9. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში შეიქმნას მუდმივმოქმედი მუშა ჯგუფი პრემიერ-მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით, რომელიც ოპერატიულად მიიღებს მიმდინარე გადაწყვეტილებებს წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად.

10. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციამ ფართოდ გააშუქონ საქართველოს სახელოვან მოჭადრაკეთა მიღწევები ევროპისა და მსოფლიოს ასპარეზობებზე.

ე. შევარდნაძე
1995 წლის 20 იანვარი
ქ. თბილისი

„ლელოს“ არქივიდან



სლავა მეტრეველი! 1950-იანი წლების დამლევს საფეხბურთო სამყაროში ხმა გავრცელდა, რომ მოსკოვის „ტორპედოს“ მოევლინა მეტად ნიჭიერი, პერსპექტიული მარჯვენა გარემარბი სლავა მეტრეველი: მიმომხილველები აღნიშნავდნენ მის უაღრესად მაღალ ტექნიკას, საოცარ სისწრაფეს, ბურთის ფლობის შესანიშნავ ხელოვნებას, გოლის გატანის უნიკალურ ალღოსა და ორიენტაციას. ლაპარაკობდნენ იმასაც, რომ დიდი ფეხბურთის ამ ახალბედამ ამაოდ სცადა ბედი თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდში, შემდეგ გამოდიოდა რუსეთის ქალაქებში,

თავდაპირველად ეს მხოლოდ ხმები გახლდათ, მერე კი ყველამ თვალნათლივ იხილა, თუ რა უნიკალური ფეხბურთელი იყო, რა ტალანტი ბუდობდა ამ სოჭელი ბიჭის პიროვნებაში, მის უნიკალურ პოტენციალში.

დიახ, სლავა მეტრეველი სოჭელი გახლდათ, ამ ქალაქში დაიბადა 1936 წელს, აქ, მწვანე მინდორზე აიდგა ფეხი და მერე სრულ საერთაშორისო აღიარებას მიაღწია, მიიღო სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. 1960 წელს გახდა ევროპის ჩემპიონი, 1960 და 1964 წლებში — სსრ კავშირის ჩემპიონი, იყო საკავშირო თასის მფლობელი, 1962, 1966, 1970 წლებში მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე, რვაჯერ შევიდა საკავშირო 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში პირველ ნომრად, 1968 წელს ფიფას ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ, გ. ფედოტოვის სახელობის საპატიო კლუბის წევრია 113 გოლით, 1964 წელს აღიარეს საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად, 1966 წელს დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სლავა მეტრეველმა სსრ კავშირის ნაკრებში 48 მატჩი ითამაშა, გაიტანა 11 გოლი, 1976 წლიდან საქართველოს დამსახურებული მწვრთნელია.

თბილისის „დინამოში“ სლავა მეტრეველი მოსკოვიდან გადმოვიდა 1963 წელს, ითამაშა 1971 წლამდე, იმთავითვე დაიმსახურა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა, იყო გუნდის კაპიტანი, მისი ერთგული მსახური.

ასეთია ამ ფეხბურთელის მოკლე დოსიე. ეჭვგარეშეა, სლავა მეტრეველი ერთ-ერთი საუკეთესო ფიგურა გახლდათ ქართული, საბჭოთა და მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში.

ცნობები ფიფადან და უეფადან

### ქართველი მსაჯები საერთაშორისო ასპარეზზე

ფიფამ დაამტკიცა იმ საერთაშორისო არბიტრთა სია, რომლებიც 1995 წელს მოემსახურებიან საერთაშორისო ოფიციალურ მატჩებს.

„ფიფას რეფერი-95“-ის წოდება მიენიჭათ სურამელ თამაზ ლაცაბაძეს (დაბადებული 1953 წ.), ზუგდიდელ სერგო კვარაცხელიას (1958), ლანჩხუთელ ოთარ გუნთაძეს (1957) და თბილისელ მერაბ მალაღურაძეს (1965).

„ფიფას ლაინსმენი-95“ (ანუ გვერდითი მსაჯები) წოდებები მიიღეს თბილისელებმა ალექსანდრე შილაკაძემ, ვახტანგ ჩოჩიშვილმა, ზურაბ დოლიძემ, გაბრიელ მგელაძემ, სამტრედიელებმა მურად ჯულაყიძემ, იოსებ კახიანმა, ლევან მიქელაძემ, კასპელმა გიორგი ხეჩუაშვილმა.

### სფფ ევროპის ერთ-ერთი შესარჩევი ტურნირის ჩატარებას თბილისში ითხოვს

უეფას შტაბ-ბინაში ჩატარდა ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წილისყრა.

16 წლამდე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდი მოხვდა მეშვიდე შესარჩევ ჯგუფში, სადაც მისი მეტოქეები იქნებიან ლატვიისა და უკრაინის გუნდე?ი (ფინალი — 1996 წლის მარტში).

ჩვენი ქვეყნის 18 წლამდე ჭაბუკთა ნაკრები იასპარეზებს პირველ შესარჩევ ჯგუფში იუგოსლავიისა და ავსტრიის გუნდებთან ერთად (ფინალი — 1996 წლის მაისში).

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თხოვნით მიმართა უეფას, რათა ერთ-ერთი შესარჩევი ტურნირი საქართველოს ჭაბუკთა გუნდის მონაწილეობით თბილისში ჩატარდეს.

## სეოკ-ი ოლიმპიურ თანამეგობრობაში გაწევრიანდა

18 იანვარს მოსკოვში გაიმართა ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის პირველი კონფერენცია, რომელზეც სეოკ-ის პრეზიდენტმა ქ-ნმა ნ. გაფრინდაშვილმა ალმასკომის გადაწყვეტილების შესაბამისად, სპორტის დეპარტამენტისა და სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებთან, სპორტული საზოგადოებრიობის რიგ წარმომადგენლებთან კონსულტაციების შემდეგ ხელი მოაწერა ასოციაციის დამფუძნებელ ხელშეკრულებას. ხელმოწერის შემდეგ სეოკ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველოში ასოციაციაში შესვლას ჰყავდა არა მხოლოდ მომხრენი, არამედ ისეთებიც, რომლებმაც ეჭვი გამოთქვეს ამ ნაბიჯის სისწორეში. ჩვენი შესვლა განპირობებულია მხოლოდ ერთი მიზნით — ამ საერთაშორისო გაერთიანების ყველა წევრმა არა შორეულ პერსპექტივაში, არამედ ახლო მომავალში იგრძნოს პრაქტიკული დახმარება მათი პრობლემების მოგვარებაში. იმ შემთხვევაში, თუ ამ ამოცანას წარმატებით ვერ გაართმევს თავს ასოციაცია, საქართველოს ეოკ-ი მიმდინარე წლის ბოლოს გააკეთებს სათანადო დასკვნებს... („ოლიმპიელი“ №1(14)).

ფეხბურთი

მოსკოვში, სპორტკომპლექს „ოლიმპიისკის“ დახურულ დარბაზში თანამეგობრობის „ჩემპიონთა თასის“ გათამაშების პირველ შეხვედრაში თბილისის „დინამომ“ დაამარცხა რუსეთის ოლიმპიური ნაკრები — 4:2. დინამოელთაგან გოლები გაიტანეს: ყაველაშვილმა (2), ქინქლაძემ და ჯამარაულმა. ოლიმპიური ნაკრები კონკურსგარეშე გამოდის. „დინამო“ — „ზიმბრული“ (მოლდოვა) 2:0, „დინ ო“ — „ელემაი“ (ყაზახეთი) 4:1.

### მილოცვა

საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია დაბადებიდან 55 წლისთავს ულოცავს სპორტის საპატიო ოსტატს, ტანვარჯიშში მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილეს **ბორის აბრამიშვილს**.

ხელბურთის ფედერაციაში

## ახალი მწვრთნელი, სხვა ახალი ამბები

საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატზე, ახალი, 1995 წლის გეგმებზე, რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადებაზე ევროპის ჩემპიონატებისათვის, ჩვენი ხელბურთის განვითარების სამომავლო გეგმებზე 2.000 წლამდე და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე გაიმართა საქმიანი მსჯელობა საქართველოს ხელბურთის ფედერაციის (პრეზიდენტი — ნიკა ცხაკაია) მორიგ სხდომაზე.

ითქვა, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა საქართველოს ვაჟთა ნ…-რები (მის უფროს მწვრთნელად დაინიშნა ცნობილი ხელბურთელი, სპორტის ოსტატი გია ნარიმანიძე) ღირსეულად წარსდგეს კონტინენტის პრესტიჟულ ტურნირზე. პირველი მატჩი ჩვენს ხელბურთელებს უკვე 4 და 5 თებერვალს აქვთ კაუნასში ლიტვის ნაკრებთან, მომდევნო შეხვედრები კი გაიმართება მარტის დასაწყისში იტალიაში, ეროვნულ ნაკრებთან, შემდეგ კი ფინეთში — აპრილის დამდეგს, ასევე ქვეყნის მთავარ გუნდთან. რაც შეეხება საქართველოს ქალთა ნაკრებს (უფროსი მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ამირან კომახიძე), იგი კონტინენტის ჩემპიონატზე ბრძოლას ოქტომბრის ბოლოს შეუდგება მინსკსა და კრაკოვში დანიშნული ორ-ორი მატჩით, შესაბამისად, ბელორუსიისა და პოლონეთის ნაკრებ გუნდებთან.

— საკლუბო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით მივიღეთ შეჯიბრების ჩატარების ახალი ფორმა, შევცვალეთ აგრეთვე ახალგაზრდა რეზერვის მზადების მეთოდები — თქვა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნ…ელმა მერაბ მეტრეველმა — უკვე 1996-1997 წლების ჩემპიონატებზე მოზრდილი გუნდების მთავარი ტურნირების პარალელურად გაიმართება ახალგაზრდა ხელბურთელთა ოფიციალური პირველობები ჯერ ორ, შემდგომ კი სამ ასაკობრივ ჯგუფში.

სხდომაზე შეიქმნა ფედერაციის ახალი კომისიები, განახლდა ძველი შემადგენლობები, თითოეულ კომისიას კონკრეტული საქმე დაევალა, რაც, ვიმედოვნებთ, უცილობლად წაადგება ქართული ხელბურთის წინსვლას.

ოთარ ოთარაშვილი

### მკითხველი — გაზეთი

შეკითხვა: … ხელი მოაწერა კონტრაქტს თავისი ქვეყნის სპორტულ ორგანიზაციასთან, აქვს თუ არა უფლება ცალმხრივად შეწყვიტოს შეთანხმება და ახალი კონტრაქტით გადავიდეს უცხოეთის რომელიმე ქვეყნის კლუბში?

მ. მესტვირიშვილი.

პასუხი: დღეს მსოფლიო სპორტული მოძრაობის უმაღლეს ეშელონებშიც ბევრს ლაპარაკობენ სპორტსმენთა უფლებების დაცვაზე, იმშველიებენ რა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმებს. კონტრაქტი მაინც ვალდებულებაა, იურიდიული დოკუმენტია და, ამ შემთხვევაში, ალბათ, არ შეიძლება რიგითი მოქალაქისა და სპორტსმენის უფლებების გაიგივება. მთავარი აქ მაინც იურიდიული მხარეა, როცა საკითხი სადავო ხდება, საქმეში ერთვება კანონი. მაგალითად, აშშ-ის კანონმდებლობა კრძალავს სხვა ქვეყნის მოქალაქეებთან კონტრაქტის გაფორმებას, თუ უცხოელს თავის ქვეყანაში ან სხვაგან დადებული აქვს რაიმე შეთანხმება. ფაქტის დაფარვის, შემდგომში კი მისი გამჟღავნების შემთხვევაში, აშშ-ი სასამართლო აუქმებს ახალ კონტრაქტს. ასე რომ, ძალზე მნიშვნელოვანია ვიცნობდეთ იმ ქვეყნის კანონმდებლობას, სადაც სპორტსმენმა ან გააფორმა ან აპირებს გააფორმოს კონტრაქტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რა ხდება ქვეყანაზე

● იმის გამო, რომ ვერ გამოიძებნა სპონსორი, დიდი ბრიტანეთი ბოლო ორი წლის მანძილზე პკარგავს პროფესიონალ ველოსიპედისტთა მეორე დიდ შეჯიბრებას. ამიერიდან აღარ ჩატარდება ყველაზე საინტერესო რბოლა კუნძულებზე — „ბრიტანეთის ტური". ორი წლით ადრე კი, ისევ და ისევ უსახსრობის გამო, გაუქმდა „რძის ტური", რომლის სპონსორი გახლდათ რძის მწარმოებელი ერთ-ერთი მსხვილი კომპანია. თუმცა ბრიტანეთის ველოსპორტის მესვეურები მთლიანად არ პკარგავენ იმედს და ვარაუდობენ, რომ უახლოეს წლებში აღდგება ორივე შეჯიბრება.

● ბრაზილიაში ახლახან დანიშნულმა სპორტის მინისტრმა პელემ განაცხადა, რომ ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს რიო-დე-ჟანეიროს კანდიდატურის წამოყენება ოლიმპიადის მასპინძელ ქვეყნად. საინტერესოა, რომ პელეს პოზიციას „ცავს ფიფას პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი, რომელიც აგერ უკვე ორი წელია კონფლიქტურ ურთიერთობაში იყო ფეხბურთის მეფესთან. მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ ისინი შეარიგეს და კონფლიქტიც ჩაცხრა. სულ მალე პელე და აველანჟი შეხვდებიან ქვეყნის ახალ პრეზიდენტს ფერნანდო კარდოსოს და შესთავაზებენ საკუთარ ვარიანტს 2008 წელს ოლიმპიური თამაშების რიო-დე-ჟანეიროში მოწყობის თაობაზე.

● ტანვარჯიშში მსოფლიოს 1995 წლის საორგანიზაციო კომიტეტის გენერალური მდივნის სეიტო ტაცუის აზრით ბოლოდროინდელი მიწისძვრა იაპონიაში არაფრით არ შეუშლის ხელს ქალაქ საბაეში ამ ასპარეზობის ჩატარებას. სასტუმროები, ტანვარჯიშული დარბაზი და მთელი ინფრასტრუქტურა ჩინებულ მდგომარეობაშია და მათ არ ატყვია სტიქიური უბედურების კვალი. ოდნავ დაზიანდა ქალაქის აეროპორტი, მაგრამ მის აღდგენას უმოკლეს დროში შესძლებენ.

● ბულგარეთის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი პლამენ კრასტევი დარწმუნებულია, რომ ცნობილი თარჯმრბენი სვეტლანა დიმიტროვა არ დაიცავს ქვეყნის ნაკრების ღირსებას. საქმე ის გახლავთ, რომ მძლეოსანი საზღვარგარეთ ყოველი გამოსვლისათვის 150 ათას დოლარს ითხოვს. ბულგარეთს არავითარი საშუალება არ გააჩნია დააკმაყოფილოს მისი სურვილი.

● მოსკოვში, ოლიმპიურ მეჯლისზე წარსულში ცნობილ კალათბურთელ სერგეი ბელოვს ოლიმპიური ორდენი გადასცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დირექტორმა ფრანსუა კარარმა. მეორე ასეთივე ორდენი მიიღო რუსეთის ეოკის ვიცეპრეზიდენტმა ალექსანდრე კოზლოვსკიმ. იმავე მეჯლისზე ტრადიციული პრიზის „ტრიუმფის" (ოლიმპიური იმედი) მფლობელი გახდა ვოლგოგრადელი მძლეოსანი ალექსეი პეტროვი. საუკეთესო სპორტულ ექიმად გამოცხადდა ლევ მარკოვი, სპორტულ ჟურნალისტად კი ნიკოლაი დოლგოპოლოვი („კომსომოლსკაია პრავდა").

● შვიდი წელია, რაც მსოფლიოს რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში სერგეი ბუბკა არ გამოსულა „მედისონ სკვერ გარდენში" ამერიკელი მაყურებლების წინ. სწორედ ამიტომ ცნობამ იმის შესახებ, რომ აქ დაგეგმილ დიდ საერთაშორისო ტურნირში მსოფლიოს წამყვან მძლეოსნებთან ერთად ბუბკაც იასპარეზებს, მძლეოსნობის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია, რაც მაშინვე დაეტყო ბილეთების გასაღებას. ორ საათში გაიყიდა ტრიბუნაზე ყველა დასაჯდომი ადგილი.

● შარშანდელი სეზონის მონაცემებით, ყველაზე შრომისმოყვარე ჩოგბურთელი ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) აღმოჩნდა. მან წლის განმავლობაში 171 მატჩი ჩაატარა (95 — ერთეულში და 76 — წყვილებში). ამ მონაცემებით მომდევნო ადგილებზე არიან: პოლანდიელი იაკო ელტინგი — 147 შეხვედრა, იონას ბიორკმანი (შვეცია) — 144, უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკის კავშირი) — 142 და მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) — 141.



## რეფორმები ველოსპორტში

ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა (უსი) ამ დღეებში გამოაქვეყნა უძლიერეს ტრეკზე მოასპარეზეთა სია. ანალოგიურ რეიტინგს საგზატკეცილო რბოლის ოსტატთათვის იგი სისტემატიურად აქვეყნებდა, წლეულს კი კლასიფიკაციაში სატრეკო ველოსპორტის წარმომადგენლებიც ჩაერთვნენ. შეფასება უმთავრესად ორი მიმართულებით ხდება. პირველი მიმართულება გახლავთ სპრინტი, ანუ სისწრაფის გაწსაზღვრა. მეორე მიმართულებაში გაერთიანებულია სახეობები, რომლებიც სპორტსმენებისაგან უმთავრესად ფიზიკურ ძალასა და გამძლეობას მოითხოვენ (გამოდევნებით რბოლა, რბოლა ქულებზე და ექვსდღიანი რბოლა). აი როგორ გამოიყურება ხუთეულები:

სპრინტი

1. ფედერიკო პარისი (იტალია) — 1238
2. მიჰაელ ჰიუბნერი (გერმანია) — 930
3. ფრედერიკ მანი (საფრანგეთი) — 891
4. მარტი ნორშტაინი (აშშ) — 870
5. რობერტო კიაპა (იტალია) — 860

ძალოვანი სახეობები

1. ბრუნო რიზი (შვეიცარია) — 950
2. სტიუარტ ო'გრელი (ავსტრალია) — 910
3. ფილიპ ერმენო (საფრანგეთი) — 780
4. გვიდო ფულსტი (გერმანია) — 760
5. იენს ლემანი (გერმანია) — 720

უსიმ რამდენიმე რეფორმატორული ცვლილება განახორციელა, რაც, მისი აზრით, პროფესიონალთა შეჯიბრებებს უფრო საინტერესოს და სანახაობრივად ეფექტურს გახდის. ამ მიზნით მსოფლიოს ჩემპიონატების პროგრამიდან ამოიღო სალიდერო რბოლა და მის ნაცვლად შეიტანა ორი დისციპლინა — გუნდური სპრინტი (ამერიკული სპრინტი) და ქალთა გიტი 500 მეტრზე. ამასთან მსოფლიოს ჩემპიონატის რეგლამენტი ხუთიდან ოთხ დღემდე შემცირდა, ხოლო სახეობებს შორის შუალედი მინიმუმამდე დავა. სპრინტერ-თა შეჯიბრება, როგორც ჩემპიონატის გვირგვინი, მოეწყობა ტურნირის ბოლოს.

ამ სიახლეების ერთ-ერთი ავტორი და მთავარი მხარდამჭერი გახლავთ საზოგადოება „ტურ დე ფრანსის" გენერალური დირექტორი ჟან მარი ლებლანი.

## ვარიანი — კრივის ახალი კერა!

არავის გაუკვირდება ქართლის ამ შუაგულში კარგი მოჭიდავის გამოჩენა, მაგრამ ვარიანი და კრივი? ტრადიციის პირველი მარცვალი „ჩადო" ნოყიერ ნიადაგში აქაურმა მკვიდრმა, გორის განათლების სამმართველოს კრივის სპორტსკოლის აღზრდილმა, მსოფლიო პირველობის პრიზიორმა გიორგი კანდელაკმა და თავად ჩაუდგა სათავეში ჭაბუკთა დაოსტატებას.

ამას წინათ, ვარიანელებმა ამხანაგური შეხვედრები გამართეს თბილისში, ოლიმპიური რეზერვის კრივის სპორტსკოლის აღსაზრდელებთან. ყველაზე მსუბუქ წონაში (30 კგ) ვარიანელმა ვალერი ხვედიანელმა ტოლი არ დაუდო შოთა გობეჯიშვილს და გაიმარჯვა. მომდევნო წყვილში თბილისელმა ტარიელ ზანდუკელმა სძლია დიმიტრი გულიაშვილს, პავლე აფაქიძე დამარცხდა სტუმართან, რევაზ ქარელიშვილთან, ვარიანელებს გამარჯვება მოუტანეს ბადრი კერესელიძემ, რომელმაც მცირე უპირატესობით დაამარცხა ზურაბ შარაშენიძე, აგრეთვე, პაატა ვარდუაშვილმა და შალვა გიორგიშვილმა.

შეხვედრა დაამშვენა ბოლო წყვილმა, სადაც ერთმანეთის პირისპირ დადგნენ თბილისელი უჩა ტორჩინავა და გოგა ადუაშვილი, მცირე უპირატესობით გაიმარჯვა გამოცდილმა მოკრივემ უ. ტორჩინავამ.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორიიდან

## კუბერტენი ტრაგიკული ბედის პიროვნება იყო

საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ისტორიკოსი, ლიტერატორი — ასე იცნობდა კუბერტენს თავის დროის საზოგადოებრიობა. შემდეგ ამ კაცმა სერიოზულად მოჰკიდა ხელი ოლიმპიური თამაშების საერთაშორისო სპორტული შეჯიბრების სახით აღორძინებას, რითაც ფრანგმა ბარონმა კაცობრიობას უბადლო სამსახური გაუწია.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების აღორძინების იდეის ხორცშესხმას და შემდგომ მის სამსახურს კუბერტენმა თითქმის 50 წელიწადი, მთელი ენერგია და სახსრები შეალია. სამწუხაროდ, მისი ეკონომიკური შესაძლებლობები ვერ თანხმდებოდა მიზნებთან, სიძნელეები კი არათუ ანელებდა, პირიქით, აძლიერებდა მის პიროვნულ პასუხისმგებლობას. ყველაფერს ოჯახური პრობლემებიც ემატებოდა. თუმცა, ცოლი, „ეს მშფოთვარე ხასიათის ქალი", როგორც კუბერტენის თანამოაზრენი იხსენებდნენ, — 30-იან წლებში ბოლოს და ბოლოს აქტიურად ამოუდგა მხარში მეუღლეს.

ბარონესა ცნობილი ფრანგი დიპლომატის გუსტავ როტანის ერთადერთი შვილი იყო. დიპლომატებს შორის ყველაზე მეტად გავრცობილი „სენი" — ხელოვნების ნიმუშების შეგროვება, ამ კაცსაც ჰქონია სისხლში გამჯდარი. ქალიშვილმა სოლიდური ქონება მიიღო მემკვიდრეობით, რომლისგანაც სულ მალე თითქმის აღარაფერი დარჩა — ბარონესა საკუთარი ჯიბიდან იხდიდა კუბერტენის პროექტების რეალიზაციის ხარჯებს. საფრანგეთის ხელისუფლება არათუ ფინანსურად ეხმარებოდა კუბერტენს, ქვეყანაში ოლიმპიური მოძრაობის აღიარებასაც არ ფიქრობდა, რაც, ცხადია, გულს უკლავდა ამ უდიდეს პიროვნებას. აღარაფერს ვამბობთ თვით კუბერტენისადმი დამოკიდებულებაზე — საფრანგეთი დუმილით უვლიდა გვერდს მის პიროვნულ ღვაწლს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობა შეუნელებლად ფართოვდებოდა. საჭირო იყო დამატებითი სახსრები. მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებით კი ლამის ყველა იმედი გადაიწურა. შეიქმნა არა მარტო სოკის, ოლიმპიური მოძრაობის არქივის განადგურების საფრთხე. ამ დროს ნეიტრალურ შვეიცარიიდან კუბერტენს შეეხმიანა ძველი მეგობარი, გავლენიანი ბარონი დე ბლონიე, რომელიც 1898 წლიდან უკვე სოკის წევრი იყო (მანვე შექმნა შვეიცარიის ეოკი). დე ბლონიემ შესთავაზა კუბერტენს სოკის შტაბბინა და არქივი შვეიცარიაში, კერძოდ, ლოზანაში გადაეტანა. ასეც მოხდა.

და აი, ხდება საოცრება — დაიგულა რა უსაფრთხო ადგილი და გამოჩნდა პიროვნება, რომელიც ოლიმპიურ საქმიანობას დროებით გაუძღვებოდა, კუბერტენმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი თავისი ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტია — მოხალისედ ჩაეწერა მოქმედ არმიაში. მაშინ კუბერტენმა თანამოაზრეებს მისწერა: „მივდივარ რა ფრონტზე მოხალისედ, არ მიმაჩნია გამართლებულად ჩვენს კომიტეტს სათავეში ედგას ჯარისკაცი. ამიტომ ვთხოვე ჩემს კოლეგას და მეგობარს ბარონ დე ბლონიეს, დროებით იკისროს სოკის პრეზიდენტის ფუნქცია."

ომიდან დაბრუნების შემდეგ კუბერტენი 1918 წელს, სოკის ფინანსური სიძნელეების გამო იძულებულია პარიზში მამისეული სახლი გაყიდოს და საბოლოოდ დასახლდეს ლოზანაში. მუშაობდა და ცხოვრობდა სოკის შტაბბინაში.

რაღა გასაკვირია, ოჯახური პრობლემებიც ღრმავდებოდა. კუბერტენი გაუხარელი მამაც იყო — ქალიშვილი რენე ბავშვობიდან ფსიქიური აშლილობით იტანჯებოდა და პერიოდულად ესაჭიროებოდა სტაციონალური მკურნალობა. სამწუხაროდ, უფროსი შვილიც (ვაჟი) ფიზიკური არასრულფასოვნებით ასევდიანებდა ოჯახს.

ბოლოს ცხოვრებამ და ასაკმა თვით კუბერტენის ჯანმრთელობაც შეარყია. 1925 წელს მან სოკის პრეზიდენტის უფლებამოსილება გადასცა ბარონ ანრი დე ბაიე-ლატურს, თუმცა, კუბერტენი კვლავინდებურად შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალყურს სხვადასხვა ოლიმპიურ ღონისძიებებს.

1937 წლის 2 სექტემბერს პიერ დე კუბერტენი გულის შეტევით გარდაიცვალა ჟენევაში. იგი დაკრძალეს ლოზანაში, გული კი — მისივე სურვილისამებრ — ანტიკური ოლიმპიური თამაშების ღედაქალაქ ოლიმპიაში განისვენებს.



პიერ დე კუბერტენი

## ხუთი რგოლის გარშემო

### მინუს 12 ქვეყანა

ხუან ანტონიო სამარანჩმა, მას შემდეგ, რაც იგი 1980 წელს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად აირჩიეს, მოინახულა სოკის წევრი 183 ქვეყანა 195-დან. 74 წლის პრეზიდენტი მოვალეობად თვლის წლეულს დაგაისად, ოლიმპიურ რუკაზე, არ დარჩეს თუნდაც ერთი ქვეყანა, სადაც ის არ ჩასულა.

### შეიქმნება ოლიმპიელთა კავშირი

მას შემდეგ, რაც შარშან სოკის პრეზიდენტმა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები მოინახულა, გადაწყვიტა დააფუძნოს ოლიმპიელთა კავშირი. დღეს მსოფლიოში 50 ათასზე მეტი სპორტსმენი-ოლიმპიელია. კავშირის თავკაცობას სამარანჩი თავად აპირებს, თუმცა, როგორც აღნიშნა, არასოდეს გამოსულა ოლიმპიურ სარბიელზე. აი, ვიცე-პრეზიდენტს კი ოლიმპიელები თავად აირჩევენ.

### ახალი ჯილდო

რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა გადაწყვიტა შემოიღოს ახალი ჯილდო — საპატიო ნიშანი „რუსეთში ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში დამსახურებისათვის". დასაჯილდოებლად რუსეთის ეოკის აღმასკომი განიხილავს მხოლოდ იმ კანდიდატურებს, რომლებსაც ქვეყნის სპორტული ორგანიზაციები წარადგენენ.

### ოლიმპიზმს სკოლაში ასწავლიან

1995-1996 სასწავლო წლიდან, რუსეთის ოლიმპიური კომიტეტისა და განათლების სამინისტროს ერთობლივი გადაწყვეტილებით, ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამაში შეიტანენ ოლიმპიზმის სწავლებას. მანამდე კი გამოცხადებულია კონკურსი „ოლიმპიური ქრესტომათიის" საუკეთესო სახელმძღვანელოს შესარჩევად.

### მასწავლებელს დააფასებენ

როსტოვის ოლქის სპორტის დეპარტამენტმა, განათლების დეპარტამენტთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება, ჩაატარონ ერთობლივი კონკურსი „ფიზიკური აღზრდისა და ფიზიკური კულტურის საუკეთესო მასწავლებლის" გამოსავლენად.

### ისრაელი და პალესტინა ერთ მწკრივში

1995 წლის ივნისში სოკის სესია ბუდაპეშტში თავის მუდმივ წევრად მიიღებს პალესტინის ეოკს. ეს იმას ნიშნავს, რომ პალესტინელები მონაწილეობას მიიღებენ 1996 წლის ოლიმპიადაში.

ატლანტის ყოფილი მერი ენდრო იანგი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რათა მის ქალაქს თამაშებისათვის ემასპინძლა, ოცნებობდა თანამედროვეობის საიუბილეო ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე ერთმანეთის გვერდით ისრაელისა და პალესტინის წარმომადგენლები ეხილა. დღეს ეს ოცნება რეალობად იქცა. პალესტინამ უკვე განაცხადა, რომ სულ ცოტა 20 სპორტსმენით გაემგზავრება ატლანტაში.

### გაჭირვებულს ფეხს არ აჭერენ

ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში სპორტის განვითარების ძველი სისტემის ახლით შეცვლა უსაშველოდ ჭიანურდება. ეკონომიკური სიდუხჭირე აფერხებს სპორტის ცალკეულ სახეობათა საერთაშორისო ინტეგრაციას. გაითვალისწინა რა შექმნილი სიძნელეები, სოკის პრეზიდენტმა ხ. სამარანჩმა, წინადადებით მიმართა საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებს, „განიხილონ თავიანთ რიგებში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გაწევრიანების საფასურის შემცირების შესაძლებლობა".

## ხუთი შეკითხვა სპორტულ ფედერაციებს

1. როგორია თქვენი მონაგარი 1994 წელს?
2. რა გიშლიდათ ხელს შარშან უკეთესი შედეგების მიღწევაში?
3. როგორ ფიქრობთ, ხელშემშლელი მიზეზები დაიძლევა თუ გაღრმავდება 1995 წელს?
4. რა საშიშროება ემუქრება თქვენს სპორტის სახეობას და რა იხსნის მას?
5. როგორ იყენებთ პრაქტიკულ საქმიანობაში სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 28 ივლისის ბრძანებულებას „სპორტის სფეროში გარდამავალ ეტაპზე სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ"?

### შეკითხვებს უპასუხებს საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი გივი მძელური

1. 20-30 ივლისს, ბულგარეთის დედაქალაქში ჩატარდა სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში, სადაც სტუდენტთა სპორტის ისტორიაში პირველად მონაწილეობდა საქართველო როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა. არასრული გუნდით გამოვდიოდით. 8-ის ნაცვლად — 4 მოჭადრაკე გამოვიყვანეთ — 3 ვაჟი და 1 ქალი: თამაზ ტაბატაძე, რომან სიჭინავა, ალექსანდრე დგებუაძე და ნინო ხურციძე. მოვიპოვეთ გუნდური 1 ადგილი, რაც უთუოდ დიდი წარმატებაა, ნინო კი პირად პირველობაში III იყო.

1-3 დეკემბერს, შარშან, მოსკოვში გაიმართა სტუდენტთა შორის მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში, სადაც ნესტორ ხერგიანი (ლენტეხი, 57 კგ.) საკუთარი სახსრებით გაემგზავრა და III ადგილი ერგო. გასული წლის ბოლოს გერმანიაში ძიუდოში მსოფლიო ჩემპიონატზე არასრული შემადგენლობით გერმანიის გუნდთან VII – VIII ადგილები გავიყავით, ჩემპიონატზე კი 100-ზე მეტი ნაკრები მონაწილეობდა. 11 ადგილი დაიკავა იური ჯიქურაულმა (86 კგ; დუშეთი), 111 იყო ალექსანდრე დავითაშვილი (95 კგ; ახმეტა).

რესპუბლიკური კალენდრით დაგეგმილი შეჯიბრებები მთლიანად ვერ შესრულდა, ჩატარდა მხოლოდ 3 რესპუბლიკური პირველობა: მაგიდის ჩოგბურთში, მინიფეხბურთში და მძლეოსნურ კროსში, აგრეთვე 2 ღია პირველობა ფრენბურთში, ვაჟთა და ქალთა შორის.

2. ძირითადად უსახსრობა. ფინანსური სიძნელეების გამო გუნდები რაიონებიდან ვერ ჩამოდიან, შეჯიბრებებმა ელფერი და ინტერესი დაკარგა.

3. 1995 წელი სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადის წელია. შეჯიბრება იაპონიაში ტარდება. იქ ჩვენ მხოლოდ სპორტის რამდენიმე სახეობაში თუ მივიღებთ მონაწილეობას. ეს სახეობებია: ძიუდო, ჩოგბურთი, ფარიკაობა, მძლეოსნობა, კალათბურთი. მანამდე კი რესპუბლიკური უნივერსიადა უნდა ჩატარდეს, რასაც 800 მილიონი კუპონი დასჭირდება. მიზეზების გამოსწორების იმედი არა მაქვს.

4. უსახსრობის გამო უმაღლეს სასწავლებლებში სექციების მუშაობა ნულზე დავიდა. დღეს სპორტში ფანატიკურად შეყვარებული ადამიანები თუ ვარჯიშობენ.

5. ჩემი აზრით, მისაღებია სამთავრობო დადგენილება სუდენტური სპორტის განვითარების შესახებ, სადაც დაევალება განათლების, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის, კულტურის სამინისტროებს და სპორტის დეპარტამენტს იზრუნონ ახალგაზრდობის გაჯანსაღებაზე.

სპორტული ბაზების იჯარის და მისი ექსპლუატაციის საკითხები ვერ გადაწყდა, ჩვენი პრობლემაც ესაა, ასე რომ, სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება ვერ გამოვიყენეთ.

ესაუბრა
ხათუნა აფაქიძე

## სხვადასხვა ამბები

### პრეზიდენტის სტიპენდიები

უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლითაც დაამტკიცა დებულება უკრაინის ნიჭიერი სპორტსმენებისათვის პრეზიდენტის სტიპენდიის მინიჭების შესახებ. მინისტრთა კაბინეტს დაევალა 1995 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტში გაითვალისწინონ გასაცემი სტიპენდიების თანხა.

ყოველთვიურად (მთელი წლის განმავლობაში) გაიცემა 100 სტიპენდია მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობით, როგორც დანამატი ხელფასზე, სტუდენტურ სტიპენდიაზე ან სხვა გასაცემებზე. კანდიდატურებს შეარჩევენ მხოლოდ ფედერაციები ეროვნული ნაკრების წევრებიდან, მაგრამ სავალდებულოა მოპოვებული ჰქონდეს I, II ან III ადგილი, ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებში. თუ საქმე კონკურენციაზე მიდგება, საუკეთესოს შეარჩევს სპეციალური კომისია.

### სობჩაკისა და გრაჩოვის ხელშეწყობით

შეიქმნა რა ღია სააქციო საზოგადოება „სკა-ჰოკეი“ სანკტ-პეტერბურგში, ფინანსური პრობლემები დამოუკიდებლად პირველმა მოაგვარა სკა-ს ოსტატ ჰოკეისტთა გუნდმა.

საწესდებო კაპიტალით უზრუნველყოფილია წლიური ბიუჯეტი — 700 ათასი დოლარი და 6,5 მილიარდი რუბლი (შედარებისთვის ვიტყვით, რომ ასეთი თანხა ბოლო წლებში, ერთად აღებული, მთლიანად ქართულ სპორტს არ ჰქონია).

კლუბმა, ცხადია, ფინანსურად ამოისუნთქა. სპორტსმენები ახლა უცხოეთის ტურნირებშიც გამოდიან, არც ჩასაცმელი და ინვენტარი აკლიათ, არც საკვები. მთელი დატვირთვით ამუშავდა ბავშვთა სპორტსკოლაც.

„სკა-ჰოკეის“ პრეზიდენტმა ლეონიდ მიხეომ განაცხადა, რომ ამ სიახლის პრაქტიკულად განხორციელებაში კლუბს დიდი დახმარება გაუწია სანკტ-პეტერბურგის მერმა ანატოლი სობჩაკმა და რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა.

### სპარტაკიადა ფესტივალით შეიცვლება

რუსეთს მოენატრა სპარტაკიადა. თუმცა, სპორტსმენებს და გულშემატკივრებს დიდხანს აღარ მოუწევთ ლოდინი.

წლეულს ივნის-აგვისტოში ჩატარდება რუსეთის სპორტის ოლიმპიური ფესტივალის ფინალური ასპარეზობები, რომლის ეტაპობრივი შეჯიბრებები უკვე დაიწყო. აღსანიშნავია, რომ სპორტის ოლიმპიურ სახეობებში ნებადართულია უფროსების პარალელურად სარბიელზე გამოვიდნენ უმცროსები (იუნიორები, ჭაბუკები, კადეტები) შესაბამისი ფედერაციების შერჩევით.

დავძენთ, რომ საქართველოში სპარტაკიადა ჯერ კიდევ 1991 წელს ჩაბარდა ისტორიას — ჩატარდა პირველი რესპუბლიკური თამაშები.; წლეულს მეორე ასპარეზობა გაიმართება.

### ქურდი ვერ დაიჭირეს, მოწყალება კი გაიღეს

შარშან პაროლიმპიური თამაშებიდან (ინვალიდთა თამაშები) მოსკოვში დაბრუნებული ალექსეი მეშკინი პირწმინდად გაძარცვეს. დამნაშავეს ვერ მიაგნეს. სამაგიეროდ, დაზარალებულს სპორტის ეროვნულმა ფონდმა ვიდეო-კამერა აჩუქა, რუსეთის ეოკმა კი 250 ათასი რუბლი გაიღო.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### მარადონა სამშობლოში ითამაშებს?

შარშან, დეკემბრის დასასრულს დიეგო მარადონამ არგენტინის „რესინგთან“ კონტრაქტს მოაწერა ხელი, რის შემდეგ გაემგზავრა კუბაში და იქ ფიდელ კასტროსაგან „მეგობრობის მედალი“ მიიღო.

შემდეგ მარადონა ჩავიდა პარიზში, სადაც საპატიო „ოქროს ბურთით“ დაჯილდოვდა საერთაშორისო ფეხბურთში მიღწეული წარმატებებისთვის.

დიეგო მარადონამ სამშობლოში დაბრუნებისას პირველი საწვრთნელი ვარჯიში გამართა ახალ კლუბში. ახლა იგი 34 წლისაა და წელიწადში 500 ათას დოლარს მიიღებს.

მაგრამ დიეგო მარადონას, როგორც ამბობენ, უფლება არა ჰქონდა საგანგებო უნებართვოდ დაეტოვებინა არგენტინა თუნდაც დროებით. მან კი ეს არაფრად ჩააგდო და ახლა შესაძლოა, სასამართლოს წინაშეც წარსდგეს.

●

**ბოლო ხანებში გაიმართა რამდენიმე ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა.**

ქ. პორტუ-ალეგრეში ერთმანეთს შეხვდნენ ბრაზილიისა და იუგოსლავიის გუნდები, მატჩს 20 ათასი მაყურებელი დაესწრო. გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა — 2-1. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ვიოლამ და ბრანდომ.

ამის შემდეგ იუგოსლავიელები ბუენოს-აირესს გაემგზავრნენ, სადაც არგენტინის ნაკრებთან დამარცხდნენ — 0-1 (გოლი — ლამბერტო).

არგენტინის გუნდმა ბუენოს-აირესში მიიღო რუმინეთის ეროვნული გუნდი და უპერესის მიერ გატანილი ერთადერთი ბურთის წყალობით მიაღწია გამარჯვებას.

იტალიის ქალაქ პესკარაში საერთაშორისო მატჩი გამართეს ამ ქვეყნისა და თურქეთის გუნდებმა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3-1, ბურთები გაიტანეს კრიპამ, ლომბარდომ, აპოლონიმ, საპასუხო — თოლუნამ.

ბასკეთის ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით ბილბაოს „სან-მამერის“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ბასკეთისა და რუსეთის (მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის“ ნაკრები) გუნდებს შორის და დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 1-0.



ეროვნული ბიბლიოთეკა

### ფეხბურთი საფოსტო მარკაზე

ყველაზე პოპულარული სპორტული თამაშისადმი გულგრილი არც ფილატელია დარჩენილა. საფოსტო მარკაზე გამოსახულ ფეხბურთელის ფიგურას კარგა ხნის ისტორია აქვს. ბევრი, ძალიან ბევრი კოლექციონერი აგროვებს საფეხბურთო მარკებს — ტყავის ბურთის ამ თავისებურ სავიზიტო ბარათებს.

ფილატელისტებისათვის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ მარკებად ითვლება მონაკოში დაბეჭდილი ფეხბურთის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მინიატურები, რომელზეც ასახულია ფეხბურთის ისტორიის სხვადასხვა ეტაპი. ერთ-ერთ მათგანზე ვხედავთ ველურ მობურთალეებს, მეორეზე — ქუჩის ფეხბურთელებს და ასე შემდეგ. ამ სერიის მარკები (სულ ოთხი) შეკავშირებულია ერთმანეთთან ე.წ. კვარტბლოკით, რომლის შუაგულში ტყავის ბურთია გამოსახული. ამ მხრივ (მხედველობაში გვაქვს ფეხბურთის გარიჟრაჟი) საინტერესოა არაბეთში **1966** წელს გამოსული **7** საფეხბურთო მინიატურა: ფეხბურთი ანტიკურ საბერძნეთში, ძველ ჩინეთში და სხვ.

ფიფას **60** წლის იუბილეზე, **1964** წელს, კვლავ გამოიჩინა თავი მონაკომ. რაც შეეხება ფიფას პრეზიდენტის ჟიულ რიმესადმი მიძღვნილ მარკას, იგი უნგრეთს ეკუთვნის (**1966** წელი).

**1928** წელს საინტერესო საფეხბურთო მინიატურები დაისტამბა ნიდერლანდსა და ურუგვაიში. ამას მოჰყვა კოსტა-რიკასა და იტალიის მხატვართა ნამუშევრები.

საფეხბურთო მინიატურებმა ზედიზედ იწყეს გამოსვლა ფილიპინებსა და რუანდაში, ნიკარაგუასა და გონდურასში, იამაიკასა და დომინიკანელთა რესპუბლიკაში... თითქმის მთელს მსოფლიოში.

გამოსარჩევია ინგლისში გამოსული მარკაც, **1966** წლის მსოფლიო ჩემპიონატს რომ მიეძღვნა. მასზე გადაღებულია „უემბლის“ სახელგანთქმული სტადიონის ხედი ზემოდან.

ცხადია, ყველა საფოსტო მინიატურის მოტანა შორს წაგვიყვანს, მით უფრო, რომ საფეხბურთო თემატიკა ასახულია არა მარტო მარკებზე, არამედ კონვერტებსა და საფოსტო ბარათებზე. ვის არ შეხვდებით აქ — ფეხბურთის მეფე პელეს, ბეკენბაუერს, დი-სტეფანოს, პუშკაშს...

სწორედ გამოჩენილ უნგრელ ფეხბურთელს ფერენც პუშკაშს ხედავთ ჩვენს დღევანდელ ილუსტრაციაზე — პირველ ბლოკზე. მეორე მინიატურა კი ესპანეთი — 82-ის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩის ფრაგმენტს ასახავს.

ოთარ ოთარაშვილი

## ისტორია
# ორი დიდი „ფალსტარტი“

სპორტსმენებმა, უპირველეს ყოვლისა, მძლეოსნებმა, ეს ტერმინი კარგად იციან. რას ნიშნავს იგი? ეს ის შემთხვევაა, როდესაც უქმდება, ბათილდება მიცემული სტარტი (მესტარტეს მიერ მოასპარეზეთა შერკინების დაწყების ნიშნის მიცემამდე, რომელიმე მორბენლის მოუთმენელი გაქცევისათვის, ანდა, ვთქვათ, დისტანციის დასაწყისში უცხო პირის ან ცხოველის — ძაღლი, კატა — მიერ სარბენი ბილიკის გადაკვეთისათვის და ა.შ.)

... ამ შემთხვევაში არც ვინმე მოწყვეტილა სტარტს ნიშანზე ადრე და არც კატასა თუ წრუწუნას შეუშლია ხელი მოასპარეზეთათვის. არადა, საბჭოთა სპორტსმენები ორჯერ ემზადებოდნენ მსოფლიო სპორტის ყველაზე დიდი, ყველაზე პოპულარული სტარტებისათვის — ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის, რომლებიც, როგორც ცნობილია, 1948 და 1952 წლებში გაიმართა, შესაბამისად, ინგლისის დედაქალაქ ლონდონში (ზაფხულის XIV ოლიმპიადა, 29 ივლისი — 14 აგვისტო) და ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში (ზამთრის VI ოლიმპიადა, 14 — 25 თებერვალი). აქვე ვიტყვით, რომ ლონდონში ოლიმპიადა (XIII თამაშები) ოთხი წლით ადრე — 1944 წელს უნდა გამართულიყო, მაგრამ ხელი შეუშალა მეორე მსოფლიო ომმა.

სხვათა შორის, სსრკ სამთომოთხილამურეთა ნაკრები ოლიმპიური თამაშებისათვის მზადებას ბაკურიანში გადიოდა. მომავალ ოლიმპიელთა შორის იყო საქართველოს წარმომადგენელიც, ბაკურიანელი სამთომოთხილამურე მიხეილ გავა (უფროსი). იგი ჩინებულ ფორმაში გახლდათ და ტოლს არ უდებდა მთავარ კონკურენტებს — უძლიერეს მოსკოველ ოსტატებს დიმიტრი როსტოვცევსა და ალექსანდრ ფილატოვს. მაგრამ სახელგანთქმულ ჰოლმენკოლენის ტრასებზე ჩვენი სპორტსმენების გამოსვლის საკითხი კოხტაგორის ფერდობებზე კი არ წყდებოდა, არამედ თვალმოშჭრელი ქთქათა თოვლისაგან ფრიად დაცულ კრემლის კაბინეტებში.

როგორც ცნობილია, იოსებ სტალინი საბჭოთა სპორტის მესვეურთაგან თხოულობდა ერთპიროვნულ (დადებით) პასუხს ჩვენი სპორტსმენების მომავალი გამარჯვების შესახებ მსოფლიო სპორტის ამ დიდ ფორუმზე. ამის გარანტიას კი ვერავინ იძლეოდა და პოტენციური ოლიმპიელები — ჩვენი ზაფხულისა და ზამთრის სპორტის სახეობათა წარმომადგენლები, რომ იტყვიან, „თამაშგარეთ“ დარჩნენ ანუ „ფალსტარტი“ განიცადეს ორივე შემთხვევაში. არადა, ვინ იცის, ეგებ გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ავსტრიელ ოტმარ შნეიდერთან, იტალიელ ძენო კოლოსთან და ნორვეგიელ სტეინ ენიკსენთან ჩვენი მიშა გავაც გვეხილა? ანდა, ეგვიპტელ მაჰმუდ ფაიდის, ამერიკელ გლენ ბრენდისა და უნგრელ დიულა ბობიშის ნაცვლად საპატიო კვარცხლბეკის ყველაზე მაღალ საფეხურზე ასულიყვნენ რაფაელ ჩიმიშკიანი, დავით ციმაკურიძე და არსენ მეკოკიშვილი, ტანმოვარჯიშე ქალთა ოქროს მედალოსნებს შორის ჩეხოსლოვაკიელ მოვარჯიშის ნაცვლად ჩვენი მზია ჯუღელი?!.

ერთი სიტყვით, იმ ორმა დიდმა სტარტმა ჩვენი ათლეტების გარეშე ჩაიარა, მაგრამ მოსკოვში ლონდონის ოლიმპიურ თამაშებს მთლად ზურგი როდი შეაქციეს — შეიქმნა სპეციალისტთა 13-კაციანი (თუ არ ვცდებით) ჯგუფი, რომელშიც სახელგანთქმული ქართველი ტანმოვარჯიშე ალექსანდრე ჯორჯაძეც შეიყვანეს. ჯგუფი ლონდონის ოლიმპიადაზე გაგზავნეს ე.წ. მეთვალყურეთა მისიით.

— ცხადია, ოლიმპიადაზე ჰელსინკის XV თამაშებამდე მთელი ოთხი წლით ადრე რომ გვესპარეზა, ამით ჩვენი სპორტი ბევრს მოიგებდა — გვიამბობდა ამ რამდენიმე წლის წინათ სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ჯორჯაძე, მაგრამ იმდროინდელი ლოზუნგი ხომ გახსოვთ („საბჭოთა სპორტსმენები — მხოლოდ გამარჯვებულები!“). ჰოდა, დიდი ომის შემდგომ პირველ სამ წელიწადში ამის მიღწევა საეჭვო იყო. სტარტი არ შედგა! რას ვიზამდით, ოლიმპიურ ლონდონში ჩასულებმა ვეცადეთ, რაც შეიძლება მეტი გაგვეგო იმხანად ჩვენთვის ჯერ კიდევ საკმაოდ უცხო ოლიმპიური მოძრაობის შესახებ, ახლო გავცნობოდით მსოფლიოს საუკეთესო მოყვარულ სპორტსმენებს, გაგვევლო პარალელი ჩვენი ათლეტების შესაძლებლობებთან, ერთი სიტყვით, საკადრისად შეიარაღებულნი შევხვედროდით მომავალ თამაშებს — 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადას.

სასიქადულო სპორტსმენის ნათქვამს დავუმატებთ, რომ ლონდონის ოლიმპიადაში 59 ქვეყნის 4099 სპორტსმენი მონაწილეობდა. გერმანიამ და იაპონიამ, რომლებმაც დიდი ომი წამოიწყეს, თამაშებზე მიპატიჟება არ მიიღეს. ოლიმპიადაზე სულ მსოფლიოს 4 რეკორდი დამყარდა და გაუმჯობესდა რამდენიმე ოლიმპიური მიღწევა. ყველა გააოცა 17 წლის ამერიკელმა ათჭიდელმა რობერტ მეთიასმა, რომელმაც დამაჯერებლად მოიგო მძლეოსნობის ეს რთული სახეობა და თამაშების ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა. მაგრამ ლონდონის ოლიმპიადის ნამდვილი გმირი 34 წლის „მფრინავი ჰოლანდიელი“, მსოფლიო რეკორდსმენი ფანი ბლანკერს-კუნი იყო. ამ უნიკალურმა მძლეოსანმა, ისე როგორც ბერლინის 1936 წლის ოლიმპიადაზე ლეგენდარულმა ამერიკელმა ჯესი ოუენსმა, ლონდონში 4 ოქროს მედალი მოიპოვა — მოიგო სპრინტის ყველა სტარტი, მათ შორის თარჯრბენი და ამანათრბენი. სამი მედალი წაიღო მშობლიურ პარიზში ცნობილმა ფრანგმა პიანისტმა მიშლინ ოსტერმაიერმა: „ოქროს“ — ბადროს ტყორცნასა და ბირთვის კვრაში, „ბრინჯაო“ — სიმაღლეზე ხტომაში. აღსანიშნავია, აგრეთვე თურქეთისა (თავისუფალი სტილი) და შვეციის (კლასიკური) მოჭიდავეთა, ამერიკელ და ეგვიპტელ ძალოსანთა, უნგრელ მოფარიკავეთა და მსროლელთა წარმატება. მოგვიანებით საბჭოთა სპორტის ხელმძღვანელები და სპორტსმენები გულდასმით ეცნობოდნენ და აანალიზებდნენ ლონდონის ოლიმპიადის შედეგებს პროზაულ სქელტანიან საქაღალდეებში რომ იყო მოთავსებული წარწერით: „სამსახურეობრივი საჭიროებისათვის!“

ოთარ ნოზაძე

### ვის სურს 2004 წლის ოლიმპიადა?

როგორც ირკვევა, ახალი საუკუნის პირველი ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა ბევრს სურს. ყოველ შემთხვევაში, ამის სურვილი აქვს პარიზს, სანკტ-პეტერბურგს, ბრიუსელს, კეიპტაუნს. სამხრეთ აფრიკის ამ ქალაქში ოლიმპიადის ჩატარებისადმი დიდ ინტერესს იწვევს თვით ქვეყნის პრეზიდენტი ნელსონ მანდელა, რომელსაც, თურმე დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს სამარანჩთან. შეგახსენებთ, რომ აფრიკაში ოლიმპიური თამაშები არასოდეს ჩატარებულა.

## ვინ საით...

● ინგლისში ახლა ბევრი ლაპარაკია იმაზე, რომ „ნიუკასლი“ ამ ქვეყნისთვის სარეკორდო თანხად 7 მილიონ გირვანქა სტერლინგად ჰყიდის მეტად ძლიერ ფეხბურთელს ენდი კოულს. მყიდველიც არის — ცნობილი „მანჩესტერ იუნაიტედი“.

მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჯერჯერობით მხოლოდ 6 მილიონის გადახდას აპირებს ამ 23 წლის ფორვარდისთვის, რომელმაც განვლილ ორ სეზონში 68 ბურთი გაიტანა მეტოქეთა კარში. მოლაპარაკება გრძელდება.

● კოლუმბიის ნაკრების კაპიტანი, ნახევარმცველი კარლოს ვალდერამა არგენტინის „ნიუელზ ოლდ ბოიზში“ გაიყიდა 800 ათას დოლარად. თანხა, საერთაშორისო მასშტაბებით დიდი არ არის, მაგრამ არც კარლოს ვალდერამა გახლავთ მთლად ახალგაზრდა — იგი 33 წლისაა, თანაც კონტრაქტი სულ ერთი წლითაა დადებული.

● პორტუგალიის „პორტუს“ ნახევარმცველი პაულო პერეირა შეისყიდა ლისაბონის „ბენფიკამ“. შეიძინა ორი სეზონით, თანაც საკონტრაქტო თანხა ჯერ ცნობილი არ არის.

● გერმანელმა თავდამსხმელმა ფრანკ ორდენევიცმა შარშანდელი სეზონი იაპონიის კლუბ „ჯეფ იუნაიტედში“ გაატარა, ახლა კი შინ დაბრუნდა და ადგილობრივ “ჰამბურგში“ ითამაშებს.

● ფრანკ ორდენევიცის კონტრაქტი 1997 წლის ზაფხულამდეა გაფორმებული. იგი 29 წლისაა.

● ესპანეთის „დეპორტივოსა“ და ბულგარეთის ნაკრების ცნობილი თავდამსხმელი ემილ კოსტადინოვი წლევანდელ სეზონში ითამაშებს მიუნხენის „ბაიერნში“, შემდგომში კი „ბაიერნს“ უფლება აქვს სხვა, უფრო ხანგრძლივი კონტრაქტისთვის იფიქროს. ჯერჯერობით კი ამ ერთი სეზონის საფასურად კლუბმა 500 ათასი მარკა გადაიხადა.

● კამერუნელი ფეხბურთელი როჟე მილა, რომელმაც თავი გამოიჩინა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში, ახლა უკვე 42 წლისაა, მაგრამ სულაც არ აპირებს მინდვრიდან წასვლას. მან საკმაოდ იმოგზაურა უცხოეთში, ახლა კი ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ინდონეზიის ჩემპიონ „პელიტა ჯაიასთან“.

როჟე მილასთან ერთად „პელიტა ჯაიაში“ ითამაშებენ სხვა კამერუნელი ფეხბურთელები — ემილ მზუ-მბუ და ემანუელ მაბოანგი.

● ბრაზილიის ნაკრებისა და „სან-პაულუს“ ცნობილი თავდამსხმელი, 29 წლის მიულერი წლეულს თავის თანამემამულე კარეკასთან ერთად ითამაშებს იაპონიის „კაშიმა რეისოლში“. მისი ერთწლიანი კონტრაქტი 1,1 მილიონ დოლარადაა შეფასებული.

● რაშიდი იეკინი, ნიგერიელი თავდამსხმელი საბერძნეთის „ოლიმპიაკოსიდან“ გადავიდა ესპანეთის ქალაქ ხიხონის „სპორტინგში“. მისი ორწლიანი ხელშეკრულება „ოლიმპიაკოსთან“ (350 ათასი დოლარი) დაირღვა, საბერძნეთის ამ კლუბში იეკინის გაუთავებელი კონფლიქტები ჰქონდა.

● გერმანიის „აინტრახტიდან“ ინგლისის „ლიდსში“ გადაინაცვლა განელმა ფეხბურთელმა ენტონი იებოამ. აქ იგი 1996 წლის 6 იანვრამდე დაჰყოფს, საკონტრაქტო თანხა 2,1 მილიონ მარკას უდრის.

იებოას გარდა „აინტრახტმა“ გაყიდა მაურიციო გაუდინო (ინგლისის „მანჩესტერ სიტი“) და აუტუსტინ ოკოჩა (ახალი კლუბი ჯერჯერობით ცნობილი არ არის).

● ჰოლანდიელმა ფორვარდმა პიერ ვან ჰოიდოკმა („ბრედა“) სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი შოტლანდიის „სელტიკთან“. შოტლანდიელთა კლუბის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ პ.ვან ჰოიდოკი სარფიანი შენაძენია მისი მაღალი შედეგიანობის გამო (წარსულ სეზონში მან 31 მატჩში 25 ბურთი გაიტანა).

● 2000 წლამდე ითამაშებს ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედში“ ფრანგი ერიკ კანტონა. მის საფასურად კლუბს განზრახული აქვს 2,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი გაიღოს.

# პროფესიულ რინგზე

რომორც ცნობილია, შარშან წლის საუკეთესო პროფესიონალ მოკრივედ ჯორჯ ფორმენი გამოცხადდა. იმ ჟურნალისტთა ასოციაციამ, რომლის წევრები კრივს ემსახურებიან. 46 წლის ჩემპიონს კიდევ ორი ჯილდო გადასცა: ერთი, როგორც წლის საუკეთესო მებრძოლს, მეორე კი, როგორც საუკეთესო მენეჯერს. პირველი ჯილდოს მნიშვნელობა გასაგებია — მაიკლ მურერთან გამარჯვებით იგი სეზონის გმირი გახდა. მეორე პრიზს კი ახსნა სჭირდება. საქმე ის გახლავთ, რომ რინგზე დაბრუნების შემდეგ ჯორჯს აღარ ჰყოლია მენეჯერი და თავის საქმეებს თვითონვე აგვარებდა. დაასახელეს, აგრეთვე წლის საუკეთესო მწვრთნელი. პრიზი მიიღო ტედი ატლასმა, რომელმაც მოამზადა მურერი ევანდერ ჰოლიფილდთან შეხვედრისათვის. 28 აპრილს დაჯილდოების ცერემონიალზე აღინიშნება 57 კგ-ში მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ვილი პეპის დამსახურებაც.

იქ, სადაც ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპა გამოჩენილი არგენტინელი მოკრივე კარლოს მონცონი (სანტა-ფეს პროვინციაში), აღიმართება ობელისკი. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო პროვინციის გუბერნატორმა, წარსულში „ფორმულა-1-ის“ პილოტმა კარლოს როიტემანმა. მონუმენტი გაიხსნება 7 ნოემბერს, იმ დღეს, როცა 25 წლის წინ მონცონმა, არგენტინელთა შორის პირველმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა პროფესიონალთა შორის.

რინგზე დაბრუნება გადაწყვიტა პირველ ქვესაშუალო წონაში (63,5) მსოფლიოს ექსჩემპიონმა ნიკარაგუელმა ალექსის არგუელომ, რომელმაც სპორტს თავი მიანება 1986 წელს და მერე კარგა ხანს იბრძოდა თავისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის სანდინისტთა რიგებში. ათრაუნდიან ბრძოლაში იგი ამერიკელ სკოტ უოკერს შეხვდება. არგუელოს პროფესიულ რინგზე ჩატარებული აქვს 87 ბრძოლა. 80 მოიგო (მათ შორის 63 ნოკაუტით), და მხოლოდ შვიდი დათმო.

ვერ დაიბრუნა ოქროს ქამარი 76,2 წონაში 43 წლის ლეგენდარულმა მსოფლიოს ჩემპიონმა რობერტო დიურანმა. 12-რაუნდიანი ბრძოლა მან დაუთმო ვინი პაციენცეს. კონტრაქტის თანახმად გამარჯვებულს ერგო 750 ათასი დოლარი, დიურანს კი — 600 ათასი.

მოკრივეთა მსოფლიოს საბჭოს ვერსიით ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა პირველ მჩატე წონაში (52,2) იაპონელმა ხიროში კავაშიმამ. 12-რაუნდიან ორთაბრძოლაში მან აჯობა მექსიკელ ხოსე-ლუის ბუენოსს.

პარიზში ჟან ბატისტ მენდიმ მოუგო რუს ოლეგ მარჩენკოს და შეინარჩუნა ევროპის ჩემპიონის ტიტული მძიმე წონაში.

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

ავტოსპორტი. გაიმართა „რალი მონტე-კარლოს“ — მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ეტაპი. ლიდერობა ხელთ იგდო ესპანელმა კარლოს საინსმა („სუბარუ-იმპრესა“), რომელიც 0,51-ით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ ფინელ ტომი მიაკინენს და ოდნავ უფრო მეტით — ფრანგ ფრანსუა დელკურს. მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი, ფრანგი დიდიე ორიოლი („ტოიოტა-სელიკა“) ჯერჯერობით მეოთხეა.

სამთო თხილამურები. კორტინა დ'ამპეცოში (იტალია) მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი სლალომში ქალთა შორის მოიგო ავსტრიელმა ანიტა ვახტერმა — 2,34,41. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ შვეიცარიელი ფრენი შნაიდერი — 2.35,30 და სპელა პრეტნარი (სლოვენია) — 2.36,49. მსოფლიო თასის საერთო ჩათვლაში ლიდერობს გერმანელი კატია ზაიცინგერი — 799 ქულა.

ტრამპლინიდან ხტომა. 17 წლის ნიკოლა დესუმი პირველი ფრანგი მოთხილამურეა, რომელმაც გაიმარჯვა (ბუნებრივია ამ სახეობაში) მსოფლიო თასის ეტაპზე. ეს მოხდა საპოროში. ორი ნახტომის ჯამში (112 და 109,5 მ) მან 214,7 ქულა დააგროვა. მეორე შედეგი ჰქონდა იაპონელ ტაკანობუ ოკაბეს (99,5 და 117 მ) — 209,2 ქულა.

### მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები

# ბორის გელფანდი: „სხვებზე ნაკლები შანსი არა მაქვს!“

უკვე რამდენიმე წელია მინსკელი დიდოსტატი ბორის გელფანდი ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად ითვლება. მან გაიარა პრეტენდენტთა ამჟამინდელი ციკლის მერვედფინალური (დაამარცხა ინგლისელი მაკლ ადამსი) და მეოთხედფინალური (დაამარცხა რუსი ვლადიმერ კრამნიკი) ეტაპები და ახლა ნახევარფინალში (ფიდეს ვერსიით) თვით მსოფლიო ჩემპიონს ანატოლი კარპოვს უნდა შეხვდეს. აი, რამდენიმე კითხვა ბორის გელფანდს.

● **მი გაჩნიათ თუ არა, რომ მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ამ ციკლში ბორის გელფანდი იქნება?**

— სხვებზე ნაკლები შანსი მე არა მაქვს.

● **როგორია თქვენი დამოკიდებულება კასპაროვის მიერ შექმნილი ახალი პროფესიული საჭადრაკო ასოციაციისადმი?**

— ამ ასოციაციის საქმიანობაში, როგორც მინიმუმი, ორ დადებით მომენტს გამოვარჩევ. პირველი ის გახლავთ, რომ უნდა მივესალმოთ ყოველგვარ დემონოპოლიზაციას ჭადრაკში, ეს ფიდეს აიძულებს ამოქმედდეს. მეორე კი ის გახლავთ, რომ დიდოსტატები, რომლებიც უძლიერესთა პირველ ათეულში ვერ მოხვდნენ, ტურნირებში ხშირად არ თამაშობენ, პროფესიული საჭადრაკო ასოციაცია კი მთელ ყურადღებას აქცევს 50 უძლიერეს მოჭადრაკეს.

● **კასპაროვი, თქმა არ უნდა, დიდი პიროვნებაა. მაგრამ ჭადრაკს იგი ცუდ სამსახურს ხომ არ უწევს, როცა ახალ-ახალ სკანდალებს იწვევს და ქმნის გაურკვეველ მდგომარეობას, რომელიც ადამიანებს არ უყვართ?**

— შეიძლება კასპაროვი გიყვარდეს ან არც გიყვარდეს, მაგრამ აშკარა ფაქტების უარყოფა არ შეიძლება. გავიხსენოთ დრო, როცა საჭადრაკო ტახტი ანატოლი კარპოვს ეპყრა. სრულიად ნათელია, რომ ჭადრაკში მისი თამაშის სტილი იყო გამეფებული. უმრავლესობა ცდილობდა კარპოვისთვის მიებაძა, მაგრამ, ცხადია, მისი ოსტატობა ყველას არ ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ ტურნირებში პარტიათა თითქმის 90 პროცენტი ყაიმით მთავრდებოდა. ყველა ტურნირში მშვიდად იმარჯვებდა კარპოვი, რომელიც მცირედით კმაყოფილდებოდა და მდევარს სულ ნახევარი ქულით თუ უსწრებდა ხოლმე. კასპაროვის მოსვლის შემდეგ ჭადრაკი გაცილებით უფრო ცოცხალი და აგრესიული გახდა. ავიღოთ, თუნდაც, პრეტენდენტთა ციკლები. უწინ მხოლოდ ერთი აშკარა პრეტენდენტი იყო — კორჩნოი, შემდეგ კასპაროვი, მოგვიანებით — კარპოვი. ახლა პრეტენდენტების მთელი ჯგუფია და ძნელია იმის გამოცნობა, რითი დამთავრდება მათი ბრძოლა. გარდა ამისა, კასპაროვის გამოჩენა მისი მომხიბლავი თამაშით, რომელიც ჭადრაკის მოყვარულებს დიდ სიამოვნებას ჰგვრის, ბევრი ახალი სპონსორის მოზიდვის საშუალებას იძლევა.

● **კასპაროვის გარდა ჭადრაკში არის კიდევ ერთი ფიგურა, რომლის ერთგვაროვანი შეფასება შეუძლებელია, ასევე მსოფლიო ჩემპიონი ფიშერი. რას იტყოდით ჭადრაკში მისი დაბრუნების შესახებ?**

— ძნელია ამ საკითხზე რაიმე გარკვეული აზრის შექმნა, თუნდაც იმიტომ, რომ ფიშერმა მეტოქედ ბორის სპასკი აირჩია, რომელიც ახლა აქტიურად აღარ თამაშობს. შეგვიძლია მოვიყვანოთ საკმაოდ ცნობილი ენრიკე მეკინგის მაგალითი: ბრაზილიელი დაუბრუნდა ჭადრაკს, არც ისე ცუდად ითამაშა მატჩებში პრედრაგ ნიკოლიჩსა და იასერ სეირავანის წინააღმდეგ, რომლებმაც იგი კომპლიმენტებით „აავსეს“. შემდეგ მეკინგმა ითამაშა ნაკლებად ძლიერ ზონალურ ტურნირში და რვიდან სულ სამი ქულა მოაგროვა. ფიშერი, რა თქმა უნდა, მეკინგი არ არის, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჭადრაკი იმ დროს, როცა მსოფლიო ჩემპიონი საკუთარი სურვილით განმარტოვდა, ერთ ადგილზე არ იდგა. უნდა აღვნიშნო ფიშერის ზოგიერთი საკმაოდ მძლავრი პარტია სპასკისთან მატჩში და ამავე დროს გავბედავ ვიწინასწარმეტყველო, რომ ფიშერს არ შეუძლია ებრძოლოს ვინმეს მსოფლიო დიდოსტატების პირველი ათეულიდან.

● **ამ ათეულს რომ დავუბრუნდეთ, შეიძლება თუ არა მასში აშკარა ლიდერი გამოვარჩიოთ?**

— რა თქმა უნდა, კასპაროვი მთელი მსოფლიოსთვის ჩემპიონად მანამდე დარჩება, სანამ მას ვინმე ჭადრაკის დაფასთან არ სძლევს. დანარჩენთა პირველობა კი მათს ამჟამინდელ შესაძლებლობებზე არის დამოკიდებული. ამის მაგალითია ვიშვანათჰან ანანდი. ინდოელს ძალიან მაღალი რეიტინგი აქვს, მაგრამ არათანაბრად თამაშობს.

● **პრეტენდენტებს შორის ვერც ვასილ ივანჩუკი მოხვდა...**

— მას რაღაცა ცუდი დრო დაუდგა, მაგრამ უწინდებურად მიმაჩნია, რომ ჭადრაკის გაგებით და ცოდნით ივანჩუკი ძალიან მაღლა დგას.

● **კრამნიკმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ უახლოესი სამი-ოთხი წლის განმავლობაში კასპაროვის რეალურ მეტოქეს ვერ ხედავს.**

— არავის აეჭვებს გარი ახლა რომ ყველაზე ძლიერია. მაგრამ მე არ ვიწინასწარმეტყველებდი ასეთი დიდი დროის მანძილზე. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება.

მოამზადა
გივი გამრეკელმა

# პრიზი პიროვნებას, ფედერაციას და... ხალხს

ეს პრემია პირველად 30 წლის წინ გათამაშდა იუნესკოსა და ფეირ პლეის საერთაშორისო კომიტეტის ინიციატივით. ატარებს იგი საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის ფუძემდებლის პიერ დე კუბერტენის სახელს და გაიცემა სპორტში პატიოსანი და სამართლიანი მოქმედებისთვის (ბრძოლისთვის, თამაშისათვის).

ფეირ პლეის პრემიის შარშანდელი ლაურეატების დაჯილდოება მოხდა შტუტგარტში. დაჯილდოებულთა შორის იყვნენ ავსტრალიის ბობსლეისტთა ოთხეულის კაპიტანი ჯასტინ პარლეი მაკდონალდი, რომელმაც ლილეჰამერის ოლიმპიადის ტრასაზე დახმარების ხელი გაუწოდა (მისი გუნდისთვის საზიანოდ) ხიფათში მყოფ უშუალო მეტოქეებს შვეციიდან.

ჯილდო მიიღო, აგრეთვე, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიფამ), რომელიც თავგამოდებით იბრძვის ძალადობის წინააღმდეგ როგორც ტრიბუნაზე, ისე უშუალოდ მოედანზე. ჯილდოს მესამე მფლობელი გახდა ნორვეგიელი ხალხი, რომელმაც 6 მილიონი ამერიკული დოლარი შეაგროვა ოლიმპიური სოლიდარობის ფონდში ჩასარიცხად. ხალხის სახელით პრიზი მიიღო ნორვეგიის მეფემ, ჰარალდ V.

საპატიო დიპლომებით, რომელიც ასევე ფეირ პლეის სახელს ატარებს, გადაეცათ წარსულში უნობილ სპორტსმენებს — ამერიკელ მძლეოსანს ლუსინდა ადამსს, სომეხ ტანმოვარჯიშეს გრანტ შაგინიანს, ლიტველ მოკრივეს ალგირდასს შოციკასს და ლატვიელ კალათბურთელს ულიანა სემიონოვას. ჟიურის გადაწყვეტილებით ეს სპორტსმენები თავის დროზე განასახიერებდნენ ფეირ პლეის იდეალებს.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

# ოთხ ნომინაციაში

კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა) რეგულარულმა ჩემპიონატმა მარათონული დისტანციის ერთ მესამედზე მეტი უკვე განვლო. როგორც ყოველთვის მთელი ძალით ამოქმედდა ნბა-ს საინფორმაციო სამსახური, რომელმაც დააჯამა მონაცემები რამდენსამე მთავარ ნომინაციაში.

| | თამაში | ქულა | პროცენტი |
|---|---|---|---|
| **სნაიპერები** | | | |
| შაკილ ო'ნილი (ორლანდო) | 32 | 953 | 29,8 |
| დევიდ რობინსონი (სან-ანტონიო) | 28 | 782 | 27,9 |
| ჯიმ ჯექსონი (დალასი) | 28 | 771 | 27,5 |
| **ფარქვეშ ბრძოლა** | | | |
| დიკემბე მუტომბო (დენვერი) | 31 | 386 | 12,5 |
| ტაირონ ჰილი (კლივლენდი) | 29 | 343 | 11,8 |
| კევინ უილისი (მაიამი) | 29 | 339 | 11,7 |
| **პასები** | | | |
| ჯონ სტოკტონი (იუტა) | 31 | 382 | 12,3 |
| კენი ანდერსონი (ნიუ-ჯერსი) | 32 | 349 | 10,9 |
| ტიმ ჰარდუეი (გოლდენ სტეიტი) | 29 | 260 | 9,0 |
| **სროლა თამაშიდან** | | | |
| კრის გეტლინგი (გოლდენ სტეიტი) | 122 | 179-დან | 68,2 |
| შაკილ ო'ნილი (ორლანდო) | 380 | 640 | 59,4 |
| ჰორას გრანტი (ორლანდო) | 158 | 270 | 58,5 |

# „ფეირ-პლეის“ ახალი ლაურეატები

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა „ფეირ-პლეი“ (პატიოსანი თამაშობა) მიანიჭა ნორვეგიის ხალხს იმ უდიდესი ენთუზიაზმისა და მხარდაჭერისათვის, რაც მათ გამოიჩინეს ზამთრის ოლიმპიადის დღეებში („ლილეჰამერი-94“). სხვა რომ არაფერი, ნორვეგიელებმა 6 მილიონი დოლარი შეაგროვეს და გადასცეს განვითარებად ქვეყნებს სპორტის სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობისა და ომებში მსხვერპლთა დასახმარებლად.

„ფეირ-პლეის“ პრიზი ინდივიდუალურად გადაეცა ფრანგ ფეხბურთელს ჟაკ გლასმანს, რომელმაც გამჟღავნა ქვეყნის კლუბების „ვალენსიენსა“ და „მარსელის“ შედეგზე წინასწარი შეთანხმების ფაქტი.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, მ. წოწორია, მ. ჯილაური.

**ამერიკის** შეერთებული შტატების ცურვის ფედერაციამ თხოვნა გაუგზავნა წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების ცურვის ასოციაციას. რათა მან კატეგორიულად აუკრძალოს ჩინელ სპორტსმენებს 1995 წლის ზაფხულს წყნარი ოკეანის თამაშებში მონაწილეობა. მიზეზი გახლავთ ბოლო დროს გახმაურებული დოპინგსკანდალები და აქედან გამომდინარე უნდობლობა ჩინელ მოცურავეთა მიმართ.

**ხანმოკლე** ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ფრანგი ველოსიპედისტი, 30 წლის ფილიპ კასადო. რომლის უმაღლესი მიღწევა იყო 1991 წლის ჯირო დ' იტალიაში რამდენიმე ეტაპის მოგება. იგი გახლდათ პარტნიორი და მთავარი დასაყრდენი ძალა გრეგ ლემონდისა (აშშ).

**საინფორმაციო** სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა, რომ მსოფლიოს რეკორდსმენს სიმაღლეზე ხტომაში ქალთა შორის. ბულგარელ [illegible] კოსტადინოვას მეუძისა [illegible]. ახალშობილს მამის პატივსაცემად ნიკოლაი დაარქვეს. 29 წლის კოსტადინოვა სულ მალე დაიწყებს ინტენსიურ ვარჯიშს ატლანტის ოლიმპიადისათვის.

## რა ხდება ქვეყანაში

**პროფესიონალ** ჰოკეისტთა ხანგრძლივი გაფიცვის გამო ნჰლ-ს სეზონი 112 დღის დაგვიანებით დაიწყო. ამის გამო დაგვიანებით გამოცხადდა „ჰოკეი ნიუსში“ უძლიერეს პროფესიონალთა ტრადიციული სია, რომლის ათეული ასე გამოიყურება (ფრჩხილებში ნაჩვენებია შარშანდელი შედეგი): 1. მარიო ლემიე (1), 2. დუგ გილმორი (3), 3. სერგეი ფეოდოროვი ( — ), 4. პატრიკ რუდი (7), 5. ბრაიან ლიჩი (15), 6. ერიკ ლინდროსი (2), 7. უეინ გრეცკი (8), 8. პაველ ბურე (21), 9. სკოტ სტივენსი ( — ), 10. ჯერემი რენიკი (10);

**იაპონიაში** მომხდარი მიწისძვრის გამო არ მოეწყო ოსაკას ტრადიციული მარათონი.

**როგორც** აღნიშნავენ ორგანიზატორები, ბოსტონის ტრადიციულ მარათონში წლეულს მონაწილეობას მიიღებს რბენის მოყვარულთა სარეკორდო რაოდენობა — 25 ათასი კაცი.

**ალჟირში** ფუნდამენტალისტმა ტერორისტებმა საკუთარი სახლის წინ ავტომანქანაში ჩაჯდომისას ავტომატის ჯერით დაცხრილეს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, 58 წლის რაშიდ ხარეგი. როგორც ფიქრობენ ეს აქტი იმათი გაფრთხილებაა, რომლებსაც აქტიური და, რაც მთავარია, ნორმალური კავშირი აქვთ გარესამყაროსთან.

# ნბა-ს ამბები

კალათბურთის ეროვნული ლიგის (ნბა) თექვსმეტი უძლიერესი დებიუტანტისაგან შედგა ორი გუნდი, რომლებიც 13 თებერვლის „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ წინ შეხვდებიან ერთმანეთს. დებიუტანტთა პირველი გუნდის შემადგენლობაში მოხვდნენ: გლენ რობინსონი („მილუოკი“), გრანტ ჰილი („დეტროიტი“), ბრაიან გრანტი, მაიკლ სმითი (ორივე — „საკრამენტო“), დენიელ მარშალი („მინესოტა“) და სხვ.

„ჩიკაგოს“ თავდამსხმელმა სკოტ პიპენმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სიამოვნებით გადავა რომელიმე გუნდში. პიპენს კონფლიქტი აქვს კლუბის გენერალურ მენეჯერ ჯერი კრაუზესთან. ამასთან დაკავშირებით კალათბურთელმა იხუმრა: ან მე გამყიდეთ, ან მენეჯერიო. „ჩიკაგოს“ ადმინისტრაცია ეძებს გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან.

13 თებერვალს არიზონის შტატის ქალაქ ფინიქსში გაიმართება ნბა-ს „ყველა ვარსკვლავის“ ტრადიციული მატჩი. დასავლეთის ნაკრების მწვრთნელად დანიშნულია პოლ უესტფოლი („ფინიქსი“), აღმოსავლეთის გუნდს კი ბრაიან ჰილი („ორლანდო“) უხელმძღვანელებს.

**საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უხუცესი ფეხბურთელი და მწვრთნელი, საქართველოსა და უკრაინის დამსახურებული მწვრთნელი**

**ილია ლობჟანიძე**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX.